ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ნიუტონის თავისუფალი სკოლა“

შპს „თბილისი კონსალტინგი“

2023

შპს ნიუტონის თავისუფალი სკოლა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება; 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით; საანგარიშგებო ვალუტა ლარი

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა....2

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით....6

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით....7

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2022 წლის 31დეკემბრის მდგომარეობით....8

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31დეკემბრის მდგომარეობით....9

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები....10

1. ძირითადი საქმიანობა....10
2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი....11
3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა....11
3.1. უცხოური ვალუტის ოპერაციები....11
3.2. ვალუტის გაცვლითი კურსი....11
3.3. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები....11
3.4. ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება....12
3.5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები....12
3.6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები....12
3.7. ძირითადი საშუალებები....12
3.8. არამატერიალური აქტივი....13
3.9. იჯარა....13
3.10. მოგების გადასახადი....14
3.11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები....14
3.12. საწესდებო კაპიტალი....14
3.13. დივიდენდები....14
3.14. შემოსავალი....14
3.15. ხარჯები....15

შენიშვნა 4: ამონაგები....15
შენიშვნა 5: რეალიზაციის თვითღირებულება....15
შენიშვნა 6: ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები....16
შენიშვნა 7: სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა....17
შენიშვნა 8: ფინანსური ხარჯი....17
შენიშვნა 9: ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები....18
შენიშვნა 10: ფული და ფულის ექვივალენტები....21
შენიშვნა 11: სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები....21
შენიშვნა 12: სასაქონლო მატერიალური მარაგები....21
შენიშვნა 13: სესხები....22
შენიშვნა 14: დაკავშირებული მხარეები....22

15. რისკების მართვა....22
15.1. ლიკვიდურობის რისკი....23
15.2. სავალუტო რისკი....23
15.3. საკრედიტო რისკი....23
16. საწარმოს უწყვეტობის განხილვა....24
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები....24

მმართველობითი ანგარიშგება და 2022 წლის საქმიანობის მიმოხილვა....25

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

შპს „ნიუტონის თავისუფალი სკოლა"-ს ხელმძღვანელობას

დასკვნა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ნიუტონის თავისუფალი სკოლა"-ს (შემდგომში - „კომპანია") ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება: 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან. ასევე მოიცავს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძველი" - ნაწილში აღწერილი საკითხისა, თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მათი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ დავაკვირდით საანგარიშგებო წლის ბოლოს და წლის დასაწყისში ჩატარებულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების, ძირითადი საშუალებებისა და სალაროში არსებული ფულადი სახსრების ინვენტარიზაციას. სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2022 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 1 იანვრისთვის არსებული მარაგების რაოდენობებისა და სახეობრივი შემადგენლობის, ძირითადი საშუალებების რაოდენობებისა და სალაროში არსებული ფულადი სახსრების სისწორეში, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია შესაბამისად 314 506 ლარის (2021: 289 482 ლარი), 21 100 197 ლარის (2021: 20 055 495 ლარი) და 0 ლარის (2021: 0 ლარი) ღირებულებით. შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იქნებოდა თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულ ან აღურიცხავ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებთან, ძირითად საშუალებებთან და ფულად სახსრებთან დაკავშირებით, აგრეთვე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებების შესაბამის შემადგენელ ელემენტებთან მიმართებაში. კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებთან, ძირითად საშუალებებთან და სალაროში არსებულ ფულად სახსრებთან მიმართებაში 2022 წლის 31 დეკემბრით არსებულ ნაშთებზე და მის შესადარის მონაცემებზე მოდიფიცირებულია.

.აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე".

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიშგება

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი") მე-7 მუხლის მე-10 ნაწილის მოთხოვნების შესაბამისად კომპანიის მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მომზადებაზე, ასევე ისეთი შიდა კონტროლის დანერგვაზე და მათი საწარმოო პროცესში უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე, რომელიც აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მოსამზადებლად.

კანონის შესაბამისად ჩვენ მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა ის კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას, ასევე თანხვდენილია თუ არა იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ამ მიზნით ჩატარებული პროცედურები ეყრდნობა პროფესიულ მსჯელობას, რომელიც მოიცავს დაკვირვებას, გამოკითხვას, დოკუმენტალურ შემოწმებას და ანალიზს, ასევე კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პროცედურების, პოლიტიკის და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებას, წარმოდგენილი რაოდენობრივი და სხვა ინფორმაციის ურთიერთშედარებას, გადათვლასა და შეჯამებას.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოთაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში (საქმიანობის მიმოხილვა), გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული შესაბამისი ინფორმაცია (საქმიანობის მიმოხილვა) იმ ფინანსური წლისათვის რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვდენილია იმავე საანგარიშგებო პერიოდის კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებასთან;

- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გაიმიჯნოს ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შპს ნიუტონის თავისუფალი სკოლა-ს ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ინფორმაციის მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს. ფინანსურ მდგომარეობას (აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის თანაფარდობა), საწარმოს საქმიანობის შედეგებს (სრული შემოსავლებისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება), ფულადი ნაკადების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით იმ შემთხვევაში, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-ების მიხედვით;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- მის ხელთ არსებული ყველა ალტერნატიული წყაროს გამოყენებაზე ინფორმაციების შესადარებლად და თავდაპირველი მონაცემების უტყუარობის დამტკიცების მიზნით.
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, რომ მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები, შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში.

გარდა ამისა ჩვენ:
ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებით შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს.

ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის ახსნა-განმარტებებსა და ასევე, ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა წარმოდგენილი ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა გაიცა არის:

ბესიკ თავაძე (სარეგისტრაციო № SARAS-A-672437)

CONSULTING TBILISI

შპს „თბილისი კონსალტინგი"-ს სახელით (სარეგისტრაციო № SARAS-F-291042)
30 სექტემბერი, 2023 წ.
თბილისი, საქართველო

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2022 წელი ლარი	2021 წელი ლარი
ამონაგები	4	10,746,425	8,704,279
რეალიზაციის თვითღირებულება	5	(274,591)	(244,388)
საერთო მოგება		10,471,834	8,459,891
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(8,324,844)	(6,104,865)
მიწოდების და მომსახურების ხარჯები		-	-
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	7	(40,237)	88,359
საოპერაციო მოგება		2,106,753	2,443,386
ფინანსური შემოსავალი	8	31,891	830,242
ფინანსური ხარჯი		(373,101)	(313,979)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(341,210)	516,263
მოგება დაბეგვრამდე		1,765,543	2,959,649
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		1,765,543	2,959,649
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		1,765,543	2,959,649

დირექტორი:
გიორგი მელაძე
28 სექტემბერი 2023 წელი
თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2022 წელი	2021 წელი
		ლარი	ლარი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	21,100,197	20,055,495
არამატერიალური აქტივები		7,668	6,605
მოთხოვნები გაცემული სესხიდან		7,716	6,982
მოთხოვნები კაპიტალის შევსებაზე		2,207,299	4,326,698
		23,322,879	24,395,780
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	10	486,978	758,447
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	11	3,801,403	1,347,730
საგადასახადო აქტივები		1,969,467	2,160,868
მარაგები	12	314,506	289,482
		6,572,353	4,556,527
მთლიანი აქტივები		29,895,232	28,952,308
მთლიანი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი		17,119,956	18,286,503
გადაფასების რეზერვი		-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		5,465,240	1,956,774
მიმდინარე მოგება		1,765,543	2,959,649
		24,350,740	23,202,925
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	13	3,445,493	4,679,234
გრძელვადიანი ფინანსურ იჯარა		-	-
ანარიცხები		-	-
გადავადებული შემოსავალი		-	-
		3,445,493	4,679,234
მოკლევადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	13	974,979	1,027,082
ფინანსურ იჯარა		-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		1,124,020	43,067
საგადასახადო ვალდებულებები		0	0
		2,099,000	1,070,148
მთლიანი ვალდებულებები		5,544,493	5,749,383
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		29,895,232	28,952,308

დირექტორი:
გიორგი მელაძე
28 სექტემბერი 2023 წელი
თბილისი, საქართველო

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2022 წლის 31დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	ჯამი
2021 წლის 1 იანვარი		15,513,197	-	2,471,656	17,984,854
წმინდა მოგება		-	-	2,959,649	2,959,649
სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-
კაპიტალის ზრდა/კლება		2,773,306	-	-	2,773,306
გადაფასების რეზერვი		-	-	-	-
გაცემული დივიდენდი		-	-	-	-
წინა პერიოდის კორექტირებები		-	-	(514,883)	(514,883)
2021 წლის 31 დეკემბერი		18,286,503	-	4,916,422	23,202,925
წმინდა მოგება		-	-	1,765,543	1,765,543
სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-
კაპიტალის ზრდა/კლება		(1,166,546)	-	-	(1,166,546)
გადაფასების რეზერვი		-	-	-	-
გაცემული დივიდენდი		-	-	-	-
წინა პერიოდის კორექტირებები		-	-	548,817	548,817
2022 წლის 31 დეკემბერი		17,119,957	-	7,230,783	24,350,740

დირექტორი:
გიორგი მელაძე
28 სექტემბერი 2023 წელი
თბილისი, საქართველო

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31დეკემბრის მდგომარეობით

	შემიშვნები	2022 წელი	2021 წელი
		ლარი	ლარი
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:			
წლის მოგება გადასახადებამდე		1,765,543	2,959,649
კორექტირება:			
მოგების გადასახადი			
ცვეთა და ამორტიზაცია		593,011	591,456
მარაგების კლება/(ზრდა)		(25,024)	(195,508)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა/კლება		(596,576)	(448,379)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/კლება		1,080,954	3,177
საგადასახადო ვალდებულებები		191,401	(2,530,648)
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		3,009,309	379,747
გადახდილი პროცენტი		264,906	306,693
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		3,274,214	686,439
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითად საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები		(1,088,895)	(3,896,747)
არამატერიალური აქტივების შეძენაზე გადახდილი თანხები		(1,063)	(290)
წმინდა ფულადი სახსრების გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(1,089,958)	(3,897,037)
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან			
საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)		(1,166,546)	2,773,306
გაცემული დივიდენდები			
მიღებული სესხები		(1,289,180)	627,822
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული		(2,455,726)	3,401,128
წმინდა (კლება)/ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში		(271,470)	190,530
ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის დასაწყისში		758,447	567,918
ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის ბოლოს		486,978	758,447

დირექტორი:
გიორგი მელაძე
28 სექტემბერი 2023 წელი
თბილისი, საქართველო

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს "ნიუტონის თავისუფალი სკოლა" (კომპანია) არის საქართველოში დაფუძნებული და რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 1996 წლის 20 მაისს. მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი: 216313727.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის - საგანმანათლებლო, გააჩნია სწავლების სამივე - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური, აგრეთვე სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა - ფრესქული. შპს „ნიუტონის თავისუფალ სკოლა"-ს აქვს როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული - სტანდარტული პროგრამა, ასევე საერთაშორისო ბაკალავრიატის ავტორიზირებული პროგრამა (IB), რომელიც თავის მხრივ მოიცავს სამ პროგრამას: დაწყებით (PYP), საბაზო (MYP) და სადიპლომო პროგრამას (DP).

კომპანიის იურიდული მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ვაჟა ფშაველას გამზირი №40.

კომპანიას გააჩნია მმართველობის ორგანო - სამეთვალყურეო საბჭო. რომლის წევრები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არიან:

ირაკლი მატკავა	წევრი 01010006985	საქართველო
ქსინფუ ვანგ	წევრი 01092004184	ჩინეთი
სიაოწინ შაო	წევრი 01092004214	ჩინეთი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელია:

მფლობელი		2022 წლის 31 დეკემბერი
შპს განათლების განვითარების ჯგუფი	საქართველოში დარეგისტრირებული შპს	100%

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „განათლების განვითარების ჯგუფი"- ს მფლობელები არიან:

მფლობელი		2022 წლის 31 დეკემბერი
გიორგი მელაძე	საქართველოს მოქალაქე	25,00%
სს ფანდ ინვესთმენთ	საქართველოში დარეგისტრირებული სს	75,00%

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენს 254-ს (2021 -247).

ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის კომპანიის დირექტორი გახლავთ გიორგი მელაძე, საქართველოს მოქალაქე (პ/ნ 01007008494).

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში(₾, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია, როგორც მოქმედი საწარმო, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტი გაითვალისწინებს კომპანიის ფინანსური მდგომარეობას, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგების, ოპერაციების მომგებიანობას და ფინანსურ რესურსებზე წვდომას, და ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენის ანალიზს კომპანიის ოპერაციებზე.

3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3.1. უცხოური ვალუტის ოპერაციები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციის განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით.

3.2. ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2022	**31 დეკემბერი 2021**
ლარი/1 აშშ დოლარი	2.7020	3.0976
ლარი/1 ევრო	2.8844	3.5040

3.3. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში.

3.4. ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

3.5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მოთხოვნები ასახულია რეალური ღირებულებით.

კომპანიის მენეჯმენტი ახორციელებს პერიოდის ბოლოს არსებული მოთხოვნების ანალიზს და მის დარეზერვებას. რეზერვების წარმოქმნას საფუძვლად უდევს ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების არსებობა და მისი აღიარება ხდება გადასახდელი ვადის დარღვევის პერიოდიდან გამომდინარე. 1-1.5 წლიანი დარღვევის შემთხვევაში ანარიცხებად აღიარდება 15%, 1.5-2,5 წლის შემთხვევაში -50%, 2.5-3 წელზე-100%

3.6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო–მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება დაანგარიშდება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით. სასაქონლო–მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულებისა და რეალიზაციის სავარაუდო ხარჯი.

3.7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ: ა) კომპანია მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და ბ) კომპანიაში შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით. ეს ღირებულება მოიცავს ძირითადი საშუალების თავდაპირველი შეძენის ან შექმნის დროს გაწეულ დანახარჯებს. შემდგომში, ღირებულებას აკლდება დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით. მიწის ცვეთა არ ხდება.

ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება: ა) გაყიდვის შემთხვევაში; ან ბ) როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების ერთეულის აღიარების

შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში, აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

ძირითადი საშუალებების კატეგორიები	სასარგებლო მომსახურების ვადა:
შენობები	20-50 წელი
ავეჯი და სხვა უძრავი ნივთები	2-10 წელი
კომპიუტერები და საოფისე აღჭურვილობა	5-10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი
სხვა	2-10 წელი
მიწა და დაუმთავრებელი მშენებლობა	არ იცვითება

3.8. არამატერიალური აქტივი

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ

ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და
ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება.

ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც მცირდება დაგროვილი ამორტიზაციით და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ღირებულებით.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

არამატერიალური აქტივის ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადაზე.

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების გაუფასურება ფასდება მაშინ, როდესაც არსებობს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები.

3.9. იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, იჯარის პერიოდის განმავლობაში, როდესაც ხდება საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და უფლების გადაცემა. ყველა სხვა იჯარა საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება.

იჯარას, რომლის დროსაც კომპანია არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები ემატება საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას და მათი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე იმავე წესით, როგორითაც საიჯარო შემოსავლის.

3.10. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი განისაზღვრება საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მნიშვნელოვანია, რომ კომპანიების მოგება, გარდა ბანკების, სადაზღვევო კომპანიების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა არ იბეგრება მოგების გადასახადით. გადასახადით დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ დივიდენდის სახით განაწილებული მოგება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება.

3.11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

3.12. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

3.13. დივიდენდები

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

3.14. შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობის და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე. პერიოდის წმინდა შემოსავალი აღიარებულია პერიოდის შემოსავალი შემცირებული თვითღირებულების დანახარჯებით, ფასდათმობით და პირდაპირი ხელფასებით.

3.15. ხარჯები

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ.

შენიშვნა 4: ამონაგები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის ამონაგები მოიცავდა:

ამონაგები	2022 ლარი	2021 ლარი
შემოსავალი საგანმანათლებო საქმიანობიდან	9,933,143	7,978,528
სახელმწიფო ვაუჩერი	403,050	388,475
წიგნების რეალიზაცია	84,849	268,826
საიჯარო შემოსავალი	269,713	40,551
სხვა შემოსავალი	55,670	27,898
სულ	**10,746,425**	**8,704,279**

შენიშვნა 5: რეალიზაციის თვითღირებულება

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის რეალიზაციის თვითღირებულება მოიცავდა:

რეალიზაციის თვითღირებულება	2022 ლარი	2021 ლარი
ძირითადი მასალების დანახარჯები	274,591	244,387
სულ	**274,591**	**244,387**

შენიშვნა 6: ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავდა:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	**2022** ლარი	**2021** ლარი
შრომის ანაზღაურება	5,003,374	3,901,052
საეჭვო ვალების რეზერვის ხარჯი	220,283	
ოფისის ხარჯები	1,316,357	930,054
საიჯარო ქირა	58,698	50,016
ცვეთა და ამორტიზაცია	593,829	591,456
კომუნალური ხარჯი	376,173	276,535
კომუნიკაციის ხარჯები	248,614	54,980
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა		127,232
საპენსიო ფონდის ხარჯი	126,590	65,561
საკონსულტაციო ხარჯი	68,120	8,745
სხვა საგადასახადო ხარჯი	289,726	10,296
ბანკის საკომისიო ხარჯი	5,617	3,985
საწვავის ხარჯი	2,890	2,680
სხვა	14,573	82,273
სულ	**8,324,844**	**6,104,865**

შენიშვნა 7: სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა მოიცავდა:

სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	2022 ლარი	2021 ლარი
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	(16,505)	(110,887)
კონვერტაცია	22,787	3,523
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	33,955	19,004
სულ	**40,237**	**(88,359)**

შენიშვნა 8: ფინანსური ხარჯი

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის მიწოდების და მომსახურების ხარჯები მოიცავდა:

ფინანსური ხარჯი - წმინდა	2022 ლარი	2021 ლარი
საეჭვო ვალების რეზერვის შემოსავალი		(797,211)
საპროცენტო შემოსავლები	(21,661)	(33,031)
საკურსო სხვაობა	(10,230)	
საკურსო სხვაობა	75,274	
საპროცენტო ხარჯები	297,827	313,979
სულ	**341,210**	**(516,263)**

შენიშვნა 9: ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები მოიცავდა:

	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობები	ნაგებობა	ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონება	სულ
31 დეკემბერი 2020	**500,000**	**-**	**12,219,471**	**8,034**	**203,647**	**3,771,351**	**925,169**	**113,719**	**17,741,391**
შემოსვლა	-	2,646,626	-	-	131,832	727,557	3,080	-	3,509,096
გადაფასება	-	-	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	(79,022)	-	(51,487)	(130,509)
31 დეკემბერი 2021	**500,000**	**2,646,626**	**12,219,471**	**8,034**	**335,480**	**4,419,887**	**928,249**	**62,232**	**21,119,978**
შემოსვლა	-	1,307,327	-	-	188,789	138,836	3,320	-	1,638,271
გადაფასება	-	-	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	(559)	-	-	-	(559)
31 დეკემბერი 2022	**500,000**	**3,953,953**	**12,219,471**	**8,034**	**523,710**	**4,558,722**	**931,569**	**62,232**	**22,757,690**

	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობები	ნაგებობა	ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონება	სულ
31 დეკემბერი 2020	**-**	**-**	**-**	**-**	**91,988**	**263,058**	**88,084**	**33,174**	**476,304**
პერიოდის ცვლა	-	-	232,997	-	12,606	235,788	109,521	544	591,456
გასვლა	-	-	-	-	-	(2,466)	-	(811)	(3,278)
31 დეკემბერი 2021	**-**	**-**	**232,997**	**-**	**104,594**	**496,380**	**197,605**	**32,906**	**1,064,483**
პერიოდის ცვლა	-	-	228,590	-	17,732	241,393	105,295	-	593,011
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	**-**	**-**	**461,587**	**-**	**122,327**	**737,773**	**302,900**	**32,906**	**1,657,494**

31 დეკემბერი 2020	**500,000**	**-**	**12,219,471**	**8,034**	**111,659**	**3,508,293**	**837,085**	**80,545**	**17,265,087**
31 დეკემბერი 2021	**500,000**	**2,646,626**	**11,986,473**	**8,034**	**230,885**	**3,923,507**	**730,644**	**29,325**	**20,055,495**
31 დეკემბერი 2022	**500,000**	**3,953,953**	**11,757,883**	**8,034**	**401,383**	**3,820,949**	**628,669**	**29,325**	**21,100,197**

	ლიცენზიები	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
თვიღირებულება			
1 იანვარი **2020**	**15,627.83**	**3,211.97**	**18,839.80**
შემოსვლა	-	-	-
გადაფასება	-	-	-
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი **2020**	**15,627.83**	**3,211.97**	**18,839.80**
შემოსვლა	290.44	-	290.44
გადაფასება	-	-	-
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი **2021**	**15,918.27**	**3,211.97**	**19,130.24**

	ლიცენზიები	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
ცვეთა და გაუფასურება			
1 იანვარი **2020**	**9,398.00**	**1,960.53**	**11,358.53**
პერიოდის ცვეთა	1,000.00	166.82	1,166.82
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი **2020**	**10,398.00**	**2,127.35**	**12,525.35**
პერიოდის ცვეთა	-	-	-
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი **2021**	**10,398.00**	**2,127.35**	**12,525.35**

წმინდა საბალანსო ღირებულება			
1 იანვარი **2020**	**6,229.83**	**1,251.44**	**7,481.27**
31 დეკემბერი **2020**	**5,229.83**	**1,084.62**	**6,314.45**
31 დეკემბერი **2021**	**5,520.27**	**1,084.62**	**6,604.89**

შენიშვნა 10: ფული და ფულის ექვივალენტები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავდა:

ფული და ფულის ექვივალენტები	2022 ლარი	2021 ლარი
ეროვნული ვალუტა ბანკში	486,977.65	593,436.17
უცხოური ვალუტა ბანკში	-	165,011.24
სულ	**486,978**	**758,447**

შენიშვნა 11: სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები და საეჭვო ვალების ანარიცხები მოიცავდა:

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	2022 ლარი	2021 ლარი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,550,471	844,763
გადახდილი ავანსები	2,427,391	496,785
მოთხოვნები მეკავშირე საწარმოს მიმართ	66,834	29,192
საეჭვო მოთხოვნების რეზერვი	(243,293)	(23,010)
სულ	**3,801,403**	**1,347,730**

შენიშვნა 12: სასაქონლო მატერიალური მარაგები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის მარაგი მოიცავდა:

მარაგი	2022 ლარი	2021 ლარი
წიგნები	265,428.11	252,850.94
საქონელი	24,352.00	11,905.00
სარემონტო მასალები	15,527.60	15,527.60
სხვა მარაგები	9,198.00	9,198.00
სულ	**314,506**	**289,482**

შენიშვნა 13: სესხები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის სასესხო ვალდებულებები მოიცავდა:

სესხები	2022	2021
	ლარი	ლარი
100k Loan 6.50% გაცემის/დაფარვის თარიღი: 03/2021-01/2027 ვალუტა: EUR	213,422	312,977
400k Loan 8.90% გაცემის/დაფარვის თარიღი: 11/2022-11/2027 ვალუტა: EUR	568,651	-
500k Loan 8.30% გაცემის/დაფარვის თარიღი: 04/2021-09/2027 ვალუტა: EUR	1,132,988	1,642,997
1300k Loan 7.04% გაცემის/დაფარვის თარიღი: 09/2020-09/2026 ვალუტა: EUR	2,505,413	3,750,342
სულ	**4,420,473**	**5,706,316**

	გადასახდელები		პროცენტი		ძირი	
	2022	**2021**	**2022**	**2021**	**2022**	**2021**
1 წელზე ნაკლები	1,277,820	1,344,838	302,840	317,757	974,979	1,027,082
1-დან 5 წლამდე	3,888,971	5,292,459	443,477	743,770	3,445,493	4,548,689
5 წელზე მეტი	-	132,740	-	2,195	-	130,545
ჯამი	**5,166,790**	**6,770,038**	**746,318**	**1,063,722**	**4,420,473**	**5,706,316**

შენიშვნა 14: დაკავშირებული მხარეები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის დაკავშირებული მხარეების ოპერაციები მოიცავდა შენიშვნა13: წარმოდგენილ სესხებს როგორც სოლიდარულ ვალდებულებას ბანკის მიმართ სესხები გადაეცა მშობელ კომპანიას ხოლო მოხმარდა შვილის ოპერაციებს.

15. რისკების მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

15.1. ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიის დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

15.2. სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშვება ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. სავალუტო რისკი არის საფრთხე, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება სავალუტო კურსის ცვლილების გამო შეიცვლება. სავალუტო რისკთან დაკავშირებით ხელმძღვანელობა ადგენს ზღვრებს რისკისადმი დაქვემდებარების დონის მიხედვით თითოეულ ვალუტაზე რომლებიც ყოველდღიურ მონიტორინგს ექვემდებარება.

15.3. საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკის ალბათობა, რომ მოვალე ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი მოთხოვნა ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს მოთხოვნის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისათვის.

საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია მონიტორინგს უწევს ვადაგადაცილებულ დღეებს. იყენებს გამარტივებულ მიდგომას, რომელიც დაფუძნებულია ვადაგადაცილებულ დღეებზე. კომპანიას აქვს ვადაგადაცილების 3 დონე.

დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება, ფული და ფულის ეკვივალენტები და გაცემული სესხები წარმოადგენენ საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას. მიუხედავად იმისა, რომ დებიტორული დავალიანებისა და გაცემული სესხის შეგროვებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს ეკონომიკურმა ფაქტორებმა, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ზიანის მნიშვნელოვანი რისკი, გარდა იმისა, რაც აღრიცხულია როგორც ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი.

საანგარიშგებო პერიოდში შემდეგ რეზერვებს ჰქონდა ადგილი:

საეჭვო ვალების ანარიცხი	2022 ლარი	2021 ლარი
365-545 დღე 15% რეზერვი	65,457	23,010.16
545-910 დღე 50% რეზერვი	24,435	-
>910 დღე 100% რეზერვი	153,401	-
სულ	**243,293**	**23,010**

16. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტს განზრახული არ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები, მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ორგანიზაციის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 2023 წლის 28 სექტემბერს ხელმძღვანელობის მიერ.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

შპს ნიუტონის თავისუფალი სკოლა

მმართველობითი ანგარიშგება და 2022 წლის საქმიანობის მიმოხილვა

შპს "ნიუტონის თავისუფალი სკოლა" (ს/ნ 216313727) (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (შპს-ს), კომპანიის რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი №40. ფაქტობრივი მისამართი: ა. პოლიტკოვსკაიას ქ. №30. კომპანიის რეგისტრაციის ნომერია 188/024-9/4-100 და საიდენტიფიკაციო კოდი: 216313727.

კომპანიის 100%-ით დამფუძნებელია შპს „განათლების განვითარების ჯგუფი" (ს/ნ 404940695).

კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს საგანმანათლებლო საქმიანობა, რომელიც საშუალო სკოლის განათლებას მოიცავს. სკოლას გააჩნია სწავლების სამივე - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური, აგრეთვე სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა - ფრესქული. შპს „ნიუტონის თავისუფალ სკოლა"-ს აქვს როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული - სტანდარტული პროგრამა, ასევე საერთაშორისო ბაკალავრიატის ავტორიზებული პროგრამა (IB), რომელიც თავის მხრივ მოიცავს სამ პროგრამას: დაწყებით (PYP), საბაზო (MYP) და სადიპლომო პროგრამას (DP).

კომპანიას გააჩნია შესაბამისი საგანმანათლებლო ლიცენზია, რომელიც გასცა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ 2021 წელს 6 წლის ვადით, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით. სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს სახელმწიფოს მიერ დადგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით, საერთაშორისო ბაკალავრიატის ავტორიზებული პროგრამით(IB) და ამავდროულად ავტონომიურად განსაზღვრავს სასწავლო გეგმებსა და სწავლების მეთოდოლოგიას.

სკოლის მისიაა შექმნას სწავლებისათვის სასიამოვნო და კომფორტული გარემო, მოსწავლები აღჭურვოს მათი შესაძლებლობების რეალიზაციისთვის აუცილებელი ყველა საჭირო უნარითა და ცოდნით, შეუქმნას მათ სათანადო პირობები საერთაშორისო სტანდარტების მქონე განათლების მისაღებად, რათა მათ წარმატებას მიაღწიონ და ეფექტურად ადაპტირდნენ მუდმივად განვითარებად გლობალურ სამყაროში.

სკოლის მიზანია აღზარდოს თავისუფალი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი პიროვნებები, რომელთაც ექნებათ განვითარებული გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევები, დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო ცნობიერება და პასუხისმგებლობა ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე.

სკოლის თანამედროვე სტანდარტებითაა აღჭურვილი, ფართო საკლასო ოთახებით, სამეცნიერო ლაბორატორიებით, სპორტული და რეკრეაციული სივრცეებით, რომელშიც ერთიანდება საცურაო აუზი, საფეხბურთო მოედნები და მრავალფუნქციური სპორტული დარბაზი (საკალათბურთო, საფეხბურთო, ფრენბურთის).

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სკოლა ემსახურებოდა 1477 რაოდენობის მოსწავლეს, რომელთა 96% სწავლობდა სკოლის პროგრამას, ხოლო დანარჩენი კი სკოლამდელ საგანმანათლებლო პროგრამაში იყო ჩართული (2021: 1465 - 94%).

შემოსავლების მზარდი დინამიკა უკავშირდება როგორც მოსწავლეების, აგრეთვე სწავლის საშუალო ღირებულების ზრდას წლიდან წლამდე.

სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები

სტრატეგიული გეგმის და საქმიანობის წარმატებულად განხორციელებისას ყოველთვის არსებობს შიდა და გარე რისკები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია.

რეგიონალური პოლიტიკური სტაბილურობა ასევე გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ სტაბილურობაზე. მნიშვნელოვანი პოლიტიკური რყვების შემთხვევაში როგორც ქვეყანაში ასევე ქვეყნის გარეთ, სკოლის ფინანსური სტაბილურობა შესაძლოა საფრთხის წინაშე დადგეს, რადგან ამ პროცესებს პოტენციურად მოყვება ეკონომიური არასტაბილურობა და მოსახლეობის მიგრაცია.

მოთხოვნა კომპანიის მომსახურებაზე, ისევე როგორც კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება უარყოფით გავლენას მოახდენს მოსახლეობაზე და მის უნარზე გადაიხადონ მიღებული მომსახურების საფასური.
სკოლის საქმიანობისას არსებულ რისკებს წარმოადგენს

- • კონკურენცია;
- • რესურსების განვითარების შეფერხება;
- • ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები;
- • კვალიფიციური ადამიანური რესურსების გადინება.
- • ფორსმაჟორული სიტუაციები.

აღნიშნული რისკების მართვისას სკოლა იყენებს შემდეგ სტრატეგიას:

კონკურენციის რისკის მართვისას სკოლა აქცენტს აკეთებს საერთაშორისო კავშირებსა და ურთიერთობებზე, გაცვლით სასწავლო პროგრამებში მონაწილეობაზე;

რესურსების განვითარების შეფერხების რისკის მართვას სკოლა ახორციელებს კარგად გააზრებული კაპიტალური განვითარების დაგეგმარების მეშვეობით, რომელიც ყოველწლიურად ხორციელდება და ნაწილობრივ გათვალისწინებულია სტრატეგიული განვითარების გეგმით;

ხშირი საკანონმდებლო ცვლილებების რისკის მართვას სკოლა უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების გამოყენებით საქმიანობის საკანონმდებლო ჩარჩოებში მოქცევის მეშვეობით;

კვალიფიციური ადამიანური რესურსების გადინების რისკის მართვა ხორციელდება მოტივაციის სქემების დანერგვის მეშვეობით და მუდმივი სახელფასო სარგოს ზრდით.

ამდენად სკოლას მისი საქმიანობისას არსებული რისკების მართვის შესაძლებლობა გააჩნია.

შპს „ნიუტონის თავისუფალი სკოლა“

დირექტორი:
გიორგი მელაძე
28 სექტემბერი 2023 წელი
თბილისი, საქართველო